

# "წყდის რესურსების ეფექტური მართვა ქვეყნის ეკონომიკური წარმატების წინაპირობაა"

✘ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკულ სემინარზე „წყადმომარაგებისა და წყადარინების ევროპული ინოვაციური ტექნოლოგიები სამხრეთ კავკასიაში“ სიტყვით გამოვიდა და აღნიშნა, რომ მთავრობის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი წარმოადგენს მწვანე ეკონომიკა, სადაც წყდის რესურსების ეფექტურ მართვას წამყვანი როლი ექნება და ეს ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ საქართველო იყოს ეკონომიკურად წარმატებული ქვეყანა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო წყდის რესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, თუმცა ამის მიუხედავად, არსებობს სერიოზული გამოწვევები წყდის ხარისხთან დაკავშირებით. პრემიერის შეფასებით, მსგავსი კონფერენციები, ახალი ტექნოლოგიების გაცნობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა საქართველომ გამოწვევებს ადეკვატურად უპასუხოს.

*„ჩვენს ეკონომიკურ პოლიტიკას ორი პრიორიტეტი აქვს. პირველი ყველაზე დიდი სიმდიდრე რაც გვაქვს, არის ჩვენი საზოგადოება და მეორე – ჩვენი ბუნება. პირველ საკითხზე ჩვენ რამდენიმე კვირის წინ უმნიშვნელოვანესი ინიციატივა დავაანონსეთ, რომელიც ჩემი შეფასებით არის ეროვნული იდეა. ჩვენ, როგორც სახელმწიფომ, ჩვენი ეკონომიკის 6%, ანუ ბიუჯეტის 25% ყოველწლიურად უნდა დავხარჯოთ სწორედ განათლებაზე და ადამიანურ კაპიტალზე.“*

*მეორე სიმდიდრე არის ჩვენი ბუნება, სადაც წყდის რესურსებს აქვს გამორჩეული როლი. სწორედ ამ ორი პრიორიტეტის განვითარებით, დარწმუნებული ვარ, საქართველო ჩადგება განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყანათა რიგში და დაძღვეს ყველა გამოწვევას“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.*

დღესვე პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ჟიური შარტავას სახელობის ინფორმაციური ტექნოლოგიების სასწავლო-  
სამეცნიერო-საექსპერტო დაბოლოებულ რეზიუმეში გახსნა.

*„ჩვენთვის განათლების რეფორმას, იმ ეროვნულ იდეას, რომელიც  
დავაანონსეთ, აქვს ყველაზე უფრო დიდი როლი და ადგილი იმაში, რომ  
საქართველო ჩავაყენოთ განვითარებული ეკონომიკის ქვეყანათა  
რიცხვში. დარწმუნებული ვარ, ამ ინიციატივის რეალიზაციის შედეგად  
კიდევ უფრო ძლიერი და მეტი მსგავსი დაბოლოებულ რეზიუმეები“, –  
განაცხადა მამუკა ბახტაძემ.*